თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6952099

ნომერი: AR11020765

თარიღი : 29.02.2024

გაცემის თარიღი : 26.03.2024

გაცნობის თარიღი : 27.03.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩის I ჩიხი N1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჭუმბურიძე პ/ნ 01030013137
- ლევან რჩეულიშვილის მე-2 ჩიხი #1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 23 თებერვლის №6903057 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 29 თებერვალს №AR11020765 განცხადებით მომართა გიორგი ჭუმბურიძემ და მოითხოვა სამსახურის 2024

წლის 23 თებერვლის №6903057 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 23 თებერვლის №6903057 ბრძანებით შეთანხმდა №01.19.35.007.084 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 23 თებერვლიდან 2027 წლის 23 თებერვლის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 23 თებერვლის №6903057 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს განაშენიანების ფართობად 7273.0 კვ.მ-ის ნაცვლად 8611.1 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 6733.9 კვ.მ-ის ნაცვლად 7343.4 კვ.მ-ის, საცხოვრებელ ფართობად 3306.1 კვ.მ-ის ნაცვლად 3308.2 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 459.1 კვ.მ-ის ნაცვლად 453.6 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 908.2 კვ.მ-ის ნაცვლად 1551.5 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1089.4 კვ.მ-ის ნაცვლად 1024.6 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 47.4 კვ.მ-ის ნაცვლად 57.2 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 923.7 კვ.მ-ის ნაცვლად 948.3 კვ.მ-ის, სამშენებლო მოცულობად 23800.0 კუბ.მ-ის ნაცვლად 24900.0 კუბ.მ-ის, 0.00 ნიშნულის ქვევით 1700.0 კუბ.მ-ის ნაცვლად 2800.0 კუბ.მ-ის, შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლის 36.3 მეტრის ნაცვლად 39.1 მეტრის, 0.00 ნიშნულის ზევით 32.9 მეტრის ნაცვლად 33.1 მეტრის, 0.00 ნიშნულის ქვევით 3.4 მეტრის ნაცვლად 6 მეტრის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ წარმოდგენილი გეგმები არ იცვლება, აღნიშნულ გეგმებზე ხდება მხოლოდ ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 23 თებერვლის №6903057 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 23 თებერვლის №6903057 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და განაშენიანების ფართობად დაფიქსირდეს 8611.1 კვ.მ., საერთო ფართობად 7343.4 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად 3308.2 კვ.მ., კომერციულ ფართობად 453.6 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 1551.5 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1024.6 კვ.მ., დამხმარე ფართობად 57.2 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად 948.3 კვ.მ., სამშენებლო მოცულობად 24900.0 კუბ.მ., 0.00 ნიშნულის ქვევით - 2800.0 კუბ.მ., შენობა-ნაგებობის კონსტრუქციულ სიმაღლედ 39.1 მეტრი, 0.00 ნიშნულის ზევით - 33.1 მეტრი, 0.00 ნიშნულის ქვევით 6 მეტრი.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 23 თებერვლის №6903057 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები (გარდა, მე-11 სართულის გეგმისა) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმებით (წარმოდგენილი პდფ ფაილის 1-12 გვერდები).

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 23 თებერვლის №6903057 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 23 თებერვლის №6903057 ბრძანებასთან ერთად.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.